ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N6

სხდომის ჩატარების დრო:
29 მარტი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ამირან კოპალეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

სულ: 13 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

სულ: 3 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია ბასილაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ლილუაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ხათუნა არველაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იუზა უგულავა,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **მირზა მამასახლისი.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან სანიკიძემ** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ;

4.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის III შესახვევი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

5. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ბ) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის-**„მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა სახელმწიფო აუდიტის ზემოაღნიშნული დოკუმენტი, 2014-2019 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები და დარღვევა-ნაკლოვანებები მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვაში, ასევე არსებული პრობლემების გათვალისწინმებით, საკითხის მთელი ქვეყნის მასშტაბით შესწავლა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა მართებულია ააიპების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად, პოზიტიურ მომენტად დასახელდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ სტრუქტურაში გაერთიანების პრაქტიკა, კერძოდ, თავდაპირველად მუნიციპალიტეტებში საბავშვო ბაღები ცალკე იურიდიულ პირებად დაარეგისტრირეს, ყველას დამოუკიდებელი ადმინისტრაცია ჰქონდა და თვითონ განსაზღვრავდა ბაღის მართვის პოლიტიკას, ამ ტიპის დაწესებულებების გაერთიანებით მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა ერთი ააიპ, რომელსაც მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქვს სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდების ერთგავრი პრაქტიკა, აღნიშნულმა პროცესმა გაამარტივა ბაღების მართვა, შესაბამისად შესაძლებელი გახადა ყველა დაწესებულებაში ერთიანი პოლიტიკის გატარება და შეამცირა ადმინისტრაციული ხარჯები. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ თბილისისა და ქუთაისის გამოცდილება სხვა და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის მიზნით შექმნილი ააიპების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ, რაც ამცირებს ადმინისტრაციულ დანახარჯებს და დაწესებულებებს მართავს უფრო ეფექტიანად, დოკუმენტში მითითებულია, რომ ამ მხრივ თბილისისა და ქუთაისის გამოცდილება, შესაძლებელია სხვა მუნიციპალიტეტებმაც გაიზიარონ, ასევე ააიპების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია იურიდიული პირებისათვის ზუსტად განისაზღვროს დასახული მიზნები და შესასრულებელი ამოცანები,

რათა გაზომვადი კრიტერიუმებით იყოს შესაძლებელი ააიპებ-ის საქმიანობის შეფასება, ამასთანავე ორგანიზაციების დაფინანსება უნდა ხორციელდებოდეს დასახული მიზნების შესაბამისად, შესრულებული გათვლების საფუძველზე. სათანადო კონტროლის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას, მიგვაჩნია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს კომისიების მიერ უნდა გაგრძელდეს, გაწეული საქმიანობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშების განხილვის პრაქტიკა, ანგარიშების ფორმალურად წარმოდგენის გამორიცხვის მიზნით, ააიპებ-ის მიერ ყურადღება მიექცეს გაწეული საქმიანობის თაობაზე შედგენილ ანგარიშებში ფინანსური რესურსების ხარჯვის დასაბუთების, მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილი პრობლემების, დაგეგმილი მაჩვენებლების, პროგრამებისა და დავალებების შესრულების მიზეზების, დასახული ამოცანების შესრულების მაჩვენებლებისა და მიღწეული შედეგების ასახვას. გთავაზობთ, მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „მაინტერესებს, რამდენად შეისწავლა არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების ა(ა)იპ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და დევს თუ არა რაიმე დასკვნები ამ თემასთან დაკავშირებით?"

კომისიის წევრი, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კონკრეტულად ამ ააიპ-თან დაკავშირებით დასკვნა არ დევს, მთავარი თემა იყო მთელს საქართველოში იურიდიული პირების მართვის ეფექტიანი სტრატეგია, სტრუქტურული მოწყობა."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „რაც შეეხება იმ საკითხს, სადაც ახსენეთ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შესახებ ვერ დაგეთანხმებით, რეალურად სუბიექტები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ დამოუკიდებლად და ჰყავდა დირექტორი, მოადგილე და ა.შ., ეს სუბიექტები ააიპ-ის შემადგენლობაში ეხლაც ამ ფორმით არიან და ცალკე ააიპ-ს ჰყავს სუბიექტები, რომლებიც გარკვეული მიმართულებით მუშაობენ, ეს რაოდენობა მევრად უფრო მეტია ამ ააიპ-ში, ვიდრე ქვედა რგოლებში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „არქიტექტურის აიპთან დაკავშირებით გაგცემთ პასუხს, ეს დოკუმენტი კონკრეტულად ამ საკითხს არ ეხება, ეს არის მთელი ქვეყნის მასშტაბით ზოგადი მიმოხილვა და თუ თქვენ კონკრეტულად ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება გმნებავთ, შესაძლებელია ამაზე მსჯელობა ცალკე, სხვა ფორმით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „იმ პერიოდში, როდესაც არქიტექტურა ცალკე გავიდა, კანონი ამის დელეგირების უფლებას

გვაძლევდა, გამოვიდა სხვა კანონი, რომელმაც მერიის ეს უფლება შეზღუდა, როგორც იცით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ამ პროცესების დასრულების შემდეგ ყველაფერი მოექცევა კანონის ფარგლებში. რაც შეეხება თქვენს ნახსენებ მეორე საკითხს-შეუძლებელია 37 ბაღს ჰქონდეს საკუთარი ბუღალტერია, საკუთარი შესყიდვები, ჰყავდეს საკუთარი იურისტი და ამ ყველაფრის შეერთებით და ერთიანი მმართველი გუნდის ჩამოყალიბებით არსებული თანხები არ დაიზოგოს, ეს არალოგიკურია. თქვენ თუ გულისხმობთ პერსონალის გაზრდას, ამაზეც მოგახსენებთ, კანონმა მოითხოვა სხვა და სხვა შტატის დამატება და ამის გამო შეიძლება გაიზარდა ხარჯები, მაგრამ ჩვენ შევამცირეთ მნიშვნელოვნად ის, რისი შემცირების საშუალებაც გვქონდა კანონმდებლობის შესაბამისად."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით(მომხრე: 9 წევრი, წინააღმდეგი: ქალბატონინინო ბიბილეიშვილი, ბატონები: ბესიკ ბრეგაძე, გიორგი კილაძე, გრიგოლ შუშანია) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის-„**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განკარგულების დანართში მითითებული ქონებები აქვს საკუთრებაში, ასევე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ცვლილებით პროექტში მითითებულია ის დასამატებელი ობიექტები, რომლის რეგისტრაცია განახორციელა თვითმმართველობამ და შესაბამისი განკარგულების პროექტით დაემატება ჩამოთვლილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, საპრივატიზაციო ნუსხას."

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით,(მომხრე: 10 წევრი, თავი შეიკავეს: ბატონებმა ბესიკ ბრეგაძემ, გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „კარგად მოგეხსენებათ, რომ მერია გამოუკიდებლად ვერ წყვეტს ვერც ქონების რეგისტრაციის პროცესს და ვერც მის განკარგვას. რაც შეეხება რეგისტრაციის პროცესს-მერია არეგისტრირებს სრული უფლებამოსილებით ქონებებს მაშინ, როდესაც ემატება გეგმას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მუნიციპალიტეტში დამატებითი სახსრების მობილიზების მიზნით, რეგისტრაციის პროცესში მივმართავთ მარეგისტრირებელ ორგანოს, რეესტრს, ასევე სახელმწიფოსგან ვიღებთ ნებართვას და უწყებების ერთობლივი თანხმობით ვახდენთ რეგისტრაციას, ასევე პრივატიზაციის ნებართვას ვიღებთ ყველა კომუნიკაციიდან, რომელიც არსებობს საქართველოში, ამიტომ აღნიშნული გეგმა მტკიცდება თავიდან. როგორც მოგეხსენებათ, წინა სხდომაზე დავამტკიცეთ მიწის ნორმატიული საფასური და ამ დოკუმენტზე დაყრდნობით წარმოვადგინეთ განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"

დაისვა შეკითხვა:

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე, გაქვთ თუ არა დათვლილი რა რაოდენობის თანხა შესაძლოა შევიდეს ბიუჯეტში ქონებების პრივატიზებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „დაახლოებით 4 მილიონი ლარის ღირებულების ქონების გაყიდვას ვაპირებთ საწყისი საპრივატიზებო საფასურით რომ განვსაზღვროთ."

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით,(მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავეს: ბატონებმა ბესიკ ბრეგაძემ, გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ, ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის III შესახვევი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდობის ქუჩაზე წლებია ფუნქციონირებს მესამე ქვეითი ბრიგადა, სამხედრო დანაყოფი, შესასვლელი აქვთ ლეონიძის ქუჩიდან, მაგრამ სადაც არხი გადის ახალგაზრდობის ქუჩაზე, მთელს ამ პერიმეტრს მიყვება თბილისის გასასვლელამდე მათი ტერიტორია, თბილისის გადასახვევთან, ე.წ. სატრაქტოროს გვერდით არსებობს ჩვენი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებები და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადავცეთ ეს ქონებები სახელწიფოს უსასყიდლოდ რათა მათ თავის მხრივ გადასცენ თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფის განვითარებისათვის.“

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით,(მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავეს: ბატონებმა ბესიკ ბრეგაძემ, გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ, ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი,

ახალგაზრდობის გამზირის III შესახვევი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „როგორც მოგეხსენებათ აზიის განვითარების ბანკთან ერთად მუნიციპალიტეტის მონაწილეობით და სახელმწიფოს ჩართულობით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას გადმოეცა 60 ერთეული ავტობუსი, რომელიც გადავეცით მუნიციპალიტეტის დაარსებულ შპს-ს „სატრანსპორტო კომპანიას“, შემჩნეული გექნებათ, რომ აღნიშნულ ავტობუსებზე განთავსებულია სარეკლამო აბრები და ადგილები, სადაც შეიძლება განთავსდეს რეკლამა, მუნიციპალიტეტმა კომერციულად გამოიყენოს და შემოსავალი მიიღოს აღნიშნული ავტობუსებისაგან. როცა საქმის წარმოება დავიწყეთ, მივმართეთ სამხარაულის ექპერტიზას, განესაზღვრა კონკრეტული პირობები, ვადები და ღირებულებები თითოეულ კვადრატულ მეტრზე წლიურად რა თანხის გადახდა მოუწევდა იმ კომპანიას, რომელიც აუქციონის წესით აიღებდა ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ნებართვას, აქედან გამომდინარე ჩვენ შევადგინეთ სააუქციონე წინადადება, სადაც სამხარაულის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე ავტობუსის ფასადზე ერთი კვადრატული მეტრის სარეკლამო ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის ღირებულება 20 წლის ვადით და 100%-იანი წინასწარი ანგარიშწორებით განისაზღვრა 2251 ლარის ოდენობით, რაც მთლიანად შეადგენს 2 928 551 ლარს, აღნიშნული პირობებით გამოცხადდება აუქციონი და შესაბამისად აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი აიღებს ავტობუსების ფასადზე რეკლამის განთავსების ნებართვას.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ერთის მხრივ კარგია ქალაქის ბიუჯეტში შემოსავლები შემოვა, მაგრამ არჩევნების პერიოდში არის ხოლმე უკმაყოფილება, როდესაც საარჩევნო სარეკლამო ბანერების გამოკვრის პერიოდი დგება. აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას თუ ფიზიკურ პირს ხელშეკრულებაში ჩავუდოთ პირობა, ან საერთოდ აიკრძალოს პოლიტიკური რეკლამა, ან ყველა სუბიექტი იყოს თანაბარუფლებიანი რეკლამის განთავსების დროს და ამით აღმოიფხვრება უსიამოვნება, რაც ხშირად არსებობს ამ თემასთან დაკავშირებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „თუ ეს ქონება იქნებოდა იმ განკარგვის ქვეშ, რომელსაც მუნიციპალიტეტი თვითონ გაუწევდა ადმინისტრირებას, ამ შემთხვევაში მართებულად მიმაჩნია მუნიციპალიტეტმა განათავსოს საარჩევნო ბანერები, რომელთაც გამოიყენებენ საარჩევნო სუბიექტები, მაგრამ როდესაც კერძო სუბიექტთან გვაქვს საქმე, არ მიმაჩნია მართებულად დავავალდებულოთ კერძო სექტორი ან კონკრეტული ბიზნეს სუბიექტი პოლიტიკურ ნაწილში."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „აღნიშნული ავტობუსები სარგებლობაში გადაცემული გვაქვს შპს „სატრანსპორტო კომპანიისათვის", მაინტერესებს ამ რეკლამისგან აღებულ შემოსავალს მიიღებს მერია თუ ხსენებული შპს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „შემოსავალი შემოვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით(მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავეს ბატონებმა: გიორგი კილაძემ, კობა გურულმა, წინააღმდეგი: .ქალბატონი ნინო ბიბილეიშვილი, ბატონები: ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის-„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „განკარგულებაში შედის ცვლილება, როგორც იცით რამდენიმე ხნის წინ თიბისი ფეის გადავეცით 96 ობიექტი, ახლა 10 ობიექტს უკან გვიბრუნებს.“

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „კიდევ ერთხელ შევეხები მეტად საყურადღებო პრობლემას, თუ არის შესაძლებელი დავამატოთ აღნიშნული აპარატები, რომლებიც ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე, მთელი ქალაქის მასშტაბით მხოლოდ ერთია ასეთი აპარატი და დისკომფორტი ექმნებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მივცეთ მათ გარემოსთან ინტეგრაციის საშუალება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა **იუზა უგულავამ** მზადყოფნა გამოთქვა გაჟღერებულ საკითხზე უმოკლეს დროში რეაგირებასთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილემ, ბატონმა **იუზა უგულავამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ი.უგულავამ** აქვე განმარტა: „ამ კომპანიას ეს ადგილები ადრეც ჰქონდა აღებული, მშინ კვადრატულ მეტრზე გადასახადი იყო 40 ლარი, ამჯერად იჯარის ფასი არის უდრო დაბალი (17 ლარი), მაგრამ ჩვენ ვუთხარით აღნიშნულ კომპანიას, რომ თუ გაქვთ სურვილი კვლავ ამ საფასურით აიღონ იჯარა, თანახმა ვართ, თავდაპირველად შეიკავეს თავი და ამიტომ იქნა ეს საკითხი გადადებული, ხოლო ახლა თანახმანი არიან.“

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით(მომხრე:12 წევრი, თავი შეიკავა: გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. „მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „გასულ წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო ასლანიკაშვილის სკვერის რეაბილიტაცია, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების პროცესში გახდა საჭიროება, რომ სკვერი გაფართოებულიყო და ეს ინფრასტრუქტურა მოწყობილიყო მის გვერდით მდებარე ქონებაზე, სახელმწიფოს მიერ გადმოცემული ქონების ნაწილზე განხორციელდა სამუშაოები და მოეწყო სკვერი. ქონების სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაკორექტირებულიყო ნახაზი, მივმართეთ სახელმმწოფოს, მოეხდინა იმ ქონების რეგისტრაცია განუსხვისებელ ძირითად ქონებად, რომელიც დღეს ფუნქციურად არის სკვერის სტატუსის მქონე, ხოლო ის ნაწილი, სადაც ინფრასტრუქტურა არ მოწყობილა, ვფიქრობთ რომ განიკარგოს კანონის შესაბამისად.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „რატომ უნდა გავყიდოთ ეს მოუწყობელი ტერიტორია, არ შეიძლება ესეც მოვაწყოთ და უფრო გავადიდოთ მოცულობით სკვერი?“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „რეალურად დაგეგმილზე დიდი სკვერი გამოვიდა, გამოუყენებელი ტერიტორია მიუდგომელია და არ ჯდება სტანდარტში, მისი რეალიზაცია ბიუჯეტში თანხას შემოიტანს.“

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-8 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით(მომხრე: 10 წევრი, თავი შეიკავა: ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, წინააღმდეგი ბატონები: გიორგი კილაძე, ბესიკ ბრეგაძე) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. „მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ბ) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ბაზრობის უკანა მხარეს არსებული ქონება არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, მისი საერთო ფართობი 723 კვადრატული მეტრია, ხოლო მიწა 744 კვადრატული მეტრი. 150 000 ლარზე გვაქვს საუბარი წლიურ საიჯარო ქირაზე, დაახლოებით თვაში 12 500 ლარი, აღნიშნულ აუქციონთან დაკავშირებით მერიაში მომართვაც არსებობს."

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

კომისიამ ღია კენჭისყრით (მომხრე: 12 წევრი, თავი შეიკავა-გრიგოლ შუშანიამ)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ბ) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ, კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე